მიხეილ ხერგიანი სავსებით განსაკუთრებული ღირსებებით გამოირჩეოდა როგორც სპორტსმენი და როგორც პატრიოტი, იგი ერთადერთი და განუმეორებელია.

შპს „საქართველოს რესპუბლიკა"
The Georgian Railway Ltd

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №181 (4560) პარასკევი, 11 ივლისი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

გუშინ

„საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერება დიდად არის დამოკიდებული მოსამართლეთა საქმიანობაზე"

— ასე მიმართა 10 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 5 მოსამართლეს, რომლებიც ფიცის დასადებად ეწვივნენ ქვეყნის მეთაურს.

ლალი ლამარაშვილმა, ნაგო ნაწლაიძემ, ნინო შარაძემ, ნინო ონიანმა და კობა გოცირიძემ ფიცის წარმოთქმისას განაცხადეს, რომ ერთგულად ემსახურებიან სამართლესა და სამართლიანობას, დაიცავენ ადამიანის უფლებებს, საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, იქნებიან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა ახლად დანიშნულ მოსამართლეებს მათთვის გაწსაკუთრებული დღე და გამოთქვა რწმენა, რომ ისინი ბოლომდე უერთგულებენ მოსამართლის ფიცს.

„სიტყვა „მოსამართლე" თავისთავად სამართალს ნიშნავს. გისურვებთ, თქვენი სამართლიანი მუშაობით დაიმსახუროთ ხალხის პატივისცემა და სიყვარული, პირნათლად შესრულოთ ფიცი, რომელიც დადეთ არა მარგო პრეზიდენტის, არამედ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინაშე." — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

სიტუაცია

წინ — აფხაზეთისკენ! გაზეთება — „იმედის" წინ

უცხოელი დამკვირვებლები, რომელთა რიცხვი წინასაარჩევნოდ დაახლოებით 3000-ს მიაღწევს, საქართველოში არჩევნებამდე 6-8 კვირით ადრე ჩამოვლენ. ისინი მეთვალყურეობას არა მხოლოდ არჩევნების ჩატარების კანონიერებას, არამედ წინასაარჩევნო კამპანიის ობიექტურობასაც გაუწევენ. ამდენი დამკვირვებლის საჩვენებლად, ალბათ, აფხაზეთის საკითხის წინა პლანზე წამოწევა კიდევ უფრო გააქტიურდება. საამისოდ საშუალისი არა მარგო დაიწყო, არამედ პირველი სტადია გუშინ გავლილია.

ყოფილი „იმედის" შენობასთან (სადაც განლაგებულია აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურები) საპროტესტო აქცია გრძელდება. „მეიმართა კავშირი", „ომის ვეტერანთა კავშირი" და მოძრაობა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის" მოითხოვენ: რუსეთის სამხედრო ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანას, საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთის საკითხზე დადებული ყველა ხელშეკრულების გაუქმებას; 1992-93 წლებიდან დღემდე აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ფაქტების საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ აღიარებას, საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის დაუყოვნებლივ მოწვევას, რათა მან აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს საერთაშორისო გერორისტთა და სამხედრო დამნაშავეთა საერთაშორისო სასამართლოსთვის გადასაცემად რომის კონვენციასთან საქართველოს მიერთების საკითხი გადაწყვიტოს და ა. შ.

იხ. №0-2 გვ.

„დილა ამ გაზეთის გადამლით დაიწყეთ..." ჯიუტი ფალავანდ

„საქართველოს რესპუბლიკა" ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

კორუფციის წინააღმდეგ

ფალსიფიცირებული მედიკამენტი უცხოური ეტიკეტით

ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკაში, განსაკუთრებით საბიუჯეტო შემოსავლებზე კონტრაბანდასთან ერთად დამანგრეველად მოქმედებს ფალსიფიცირებული პროდუქტების წარმოება და რეალიზება. ფალსიფიკაციასთან ბრძოლის გააქტიურების მიზნით მს სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარ სამმართველოში ერთი წლის წინათ შეიქმნა სპეციალური განყოფილება. 2002 წელს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებამ გამოავლინა და აღძრა 186 სისხლის სამართლის საქმე. წლეულს 5 თვეში უკვე აღძრულია 82 სისხლის სამართლის საქმე (ამ განყოფილებაზე მოდის ჩვენს ქვეყანაში ფალსიფიკაციის შემთხვევების გამოვლენისა და სისხლის სამართლის საქმის აღძერის 90 პროცენტი).

წლეულს 5 თვეში ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებამ ამოიღო 12981 ბოთლი ფალსიფიცირებული „ბორჯომი", „კოკა-კოლა", ლიმონათი, 5.988 ბოთლი ღვინო და ღვინომასალები, 2.000 კოლოფი სარეცხი სამუალებები, 419 კილოგრამი რძის პროდუქტები, 1.100 კილოგრამი ხორცის პროდუქტები (ძეხვი, სოსისი და სხვა), 203 კილოგრამი თევზი და თევზის პროდუქტები, 1.550 ქილა გომბაგის პასტა და კეჩუბი, 27 გონა ცემენტი (მხილებული პირონება ცემენტს ჰყიდდა სააქციო საზოგადოება „რუსთავცემენტის" სავაჭრო ნიშნის გამოყენებით, 50-30-კილოგრამიანი გომრებით).

იხ. №0-4 გვ.

მიხეილ ხერგიანი — 70

სწორუპოვარი მთამსვლელი

ერთ-ერთ მიმართვაში, საქართველოს უდაბნოს და უკეთილშობილეს კუთხეს, ჩვენს ხანეთს „ლომეულ არწივთა ბუდე ეწოდე". ისტორია და თანამედროვეობა ადასტურებს ამ მეტაფორის მართებულობას. მიხეილ ხერგიანი კი ხანეთის შესანიშნავი ფენომენის უბრწყინვალესი გამოხატულება და განსხვავდება იყო.

მთის ხალხის სულიერი მისწრაფება მხოლოდ მწვერვალთა დალაშქრის ხერხებში როდი გამოიხატება. ამაზე მეტყველებს ხანეთის უნიკალური ქართული კულტურა, განაღალური სიდიდეები და ხელოვნებისა თუ სატწერის ძვალები.

მაგრამ მთამსვლელები, განსაკუთრებით მიხეილ ხერგიანი, ხაოცარი სიფრთხილ განასხვავებდნენ ქართველ მთიელთა, — ხანთა უმთავრეს თვისებებს: სიმამაცეს, შეუბოვრობას, კეთილშობილებასა და რკინის ნებისყოფას.

ქართული ადმინისტრაციის ისტორია ოფიციალურად 1923 წლიდან იწყება. მისი უფუძველესები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები — გიორგი ნიკოლაძე და ალექსანდრე დიდებულიძე. თუით საბჭოთა ადმინისტრაციაც ხომ ძირითადად ქართველმა მთამსვლელებმა ნაუკარეს საფუძველი. ამ ხელოვნის უკეთესირდება მისი უდიდესი წარმატებები.

საკმარისია დაკასახელოთ ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, გიო ნიკურიანი და იაკო კასდეკაშვილი, რომლებმაც 1934 წელს უშბა დალაშქრეს იმ დროისათვის ურთულესი მარშრუტით.

1937 წლიდან, კვლავ ქართველმა მთამსვლელებმა, უშბაზე სამხრეთის კედლიდან ასულნი, ნაუფეველი ნაუკარეს კედლიან ასვლებს. გავიხსენოთ გაბრიელ, ბექნუ, ბესარიონ ხერგიანები, ზიზიკო ნაროოლანი და მაქსიმე გეკარდიანი.

მრავალი ქართველი მთამსვლელი შეჯიდებია სიკვდილ-სიცოცხლეს. მრავალ დიდებულ მწვერვალზე ანთებულა ქართული სულით გამარჯვების ჩირაღდანი. ჩვენს თავდწინ ერთმანეთს ცვლიდნენ ლეგენდარული თაობები.

ეიო გამარჯვება... ეიო მხსვერბლი... და მაინც ქუხდა გამარჯვების ეიფინა ახალი მწვერვალების, ახალ სიმაღლეთა დამორბის აღსანიშნავად.

ამ ბუმბერაზი მთების წიალში და ცხოველ მადალი სულიერების გარემოში დაიბადა მიხეილ ხერგიანი, რომელსაც უფალმა უდიდესი მთამსვლელის მისია არგუნა.

იხ. №0-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი

აფი გიგანის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ალპინიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მწვერვალ სუალტოზე ურთულესი მარშრუტის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და უნიკალური დოკუმენტური მასალის შეგროვებისათვის საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი **აფი გიგანი** დაჯილდოდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი

სოფიკო თვარაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ალპინიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის პიმალაის მაღალ მთიანეთში ტექნიკურად რთული მარშრუტის შესრულებაში მონაწილე პირველი ქართველი ქალი, საქართველოს მთამსვლელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **სოფიკო თვარაძე** დაჯილდოდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

ინფორმაცია

მხილებულია თბილისში მცხოვრები რომან აბასოვი, რომელსაც „ლაზ-695" მარკის ავტობუსით თბილისიდან აზერბაიჯანის ქალაქ აღსტაფაში გადაეშენდა „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიის სავაჭრო ნიშნით დაშზადებული 5.000 ლარის ღირებულების 3.964 ბოთლი ფალსიფიცირებული „ბორჯომი".

თანამშრომლობენ ქართული და ოსური მხარეები

ქართულ-ოსური კონფლიქტის შონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების პროექტების შემუშავების შემთხვევაში ევროკავშირი 1 მლნ 250 ათას ევროს გამოყოფს. აღნიშნულ პროექტებზე ამჟამად ქართული და ოსური მხარეები ერთობლივად მუშაობენ და უახლოეს მომავალში, შესაძლოა, მათი განხორციელება დაიწყოს.

ქართველი კომანდოსები — სამაგალითოები

ბუშინ, შუადღისას, ცხინვალის რეგიონში განლაგებულ ქართულ სამშვიდობო ბატალიონს ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი 86 კომანდოსი შეეშალა. ისინი რამდენიმე დღეში არსებულ ბლოკპოსტებზე გაჯლენ. თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების რეაქცია ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია.

განიხილავენ საგანგებო კონფერენციაზე

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით, 14-18 ივლისს ბუდაპეშტში გაიმართება საგანგებო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხილვას. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს უშენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, საქართველოს საგამომძიებო ორგანოების პირველი პირები და ევროსაბჭოს ექსპერტები, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელი საქართველოში პიტერ სტაფორდი და ჩვენს ქვეყანაში დეპარტამენტის პროგრამების მენეჯერი ქეთრინ ნიუკომბი.

პარლამენტმა აუცილებლად უნდა განიხილოს

— პარლამენტმა აუცილებლად უნდა განიხილოს ბიუჯეტის სეკვესტრთან დაკავშირებული ცვლილებები,— განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ბაბა სიორიძემ. მას, ასევე, მიაჩნია, რომ ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო უნდა დადგეს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი.

სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები გაგრძელდება

თბილისის სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაწნათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურს აღდგენითი სამუშაოების ჩატარება 27 სკოლაში აქვს დაგეგმილი. საამისოდ თბილისის მერიამ 1 მლნ. 500 ათასი ლარი გამოყო. სამშენებლო ფირმის გამოსავლენად ტენდერი გამოცხადდა და უახლოეს მომავალში გამარჯვებული კომპანია იმ სამუშაოებს გაგრძელებს, რომლებიც სკოლებში შარშან დაიწყო.

თანამდებობის პირთა ქონება გამჭვირვალე გახდება

საპარლამენტო სრულყოფისა და საზოგადოების მშარდი ინტერესის გათვალისწინებით უმაღლესი რანგის თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დღეიდან სპეციალურ ვებ-გვერდზე განთავსდება.

ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იქნება თანამდებობის პირთა ოჯახების წევრების ჩამონათვალი, მათ საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საერთო მაჩვენებელი. აგრეთვე, 2002 წლის აპრილიდან 2003 წლის აპრილამდე ანაზღაურებული მიზნობრივი სარჯების, მათ მიერ მიღებული შემოსავლებისა და სარჯების საერთო ოდენობა. ამასთან, მითითებული იქნება ინფორმაცია თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრების ბიზნესში საქმიანობის შესახებ.

დაკაკაეს კიდევ სამი გამცეული

ბუშინ სამართალდამცავებმა ოპერატიული მონაცემების მიხედვით განხორციელებული სპეციოპერაციის შედეგად დაკავეს ამ დღეებში რუსთავის ცისიდან გაქცეული სამი განსაკუთრებით საშიში დამნაშავე.

გაიმართება მაიაკოვსკის დღეები

19 ივლისს ბაღდათის რაიონში მაიაკოვსკის დღეები გაიმართება. ლონისძიებაში მონაწილეობას ცნობილი რუსი მწერლის შვილიშვილიც მიიღებს, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და ინტერ-პრესმა.

სამძიმარი

თამაზ პატარიძეს

ბატონო თამაზ,

უდიდესი გულისტკივილით შევიტყვე ბატონ არჩილის გარდაცვალების შეტყობა სამწუხარო ამბავი.

სამშობლოს წინაშე ბოლომდე ვალმოხდილი კაცის, დაწესმოსილი მედიცინის მუშაკის, ღირსების ორდენის კავალერის არჩილ პატარიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი.

ედუარდ შევარდნაძე.

ვანდალიზმი

მადლობა ოქროს ხელებისა და სიკეთისათვის

თვალის სნეულებათა კლინიკა „მზერას" ხელმძღვანელი გიორგი ბიხუა და ძირძრძი ოფთალმოლოგი ალექსანდრე ბიხუა.

წლეულს, მარგის ბოლოს ელვის სისწრაფით გავრცელდა ინფორმაცია, რომ დედაქალაქისა და ქვეყნის მხარეებში მცხოვრეს სოციალურად ყველაზე დაუცველ 890 უმწეოს უფასოდ გაუკეთდებოდა ექსტრაკაფსულური კატარაქტის ექსტრაქცია ხელოვნური ბროლის იმპლანტაციით. ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე მინისტრის ამირან გამყრელიძის მიერ გაკეთებული განცხადების თაობაზე ინფორმაცია ჩვენს გაზეთშიც დაიბეჭდა.

იხ. №0-3 გვ.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში ქარი 6-11 მ/წმ.
დაბლობში ღამით +18°, დღისით +33°, **მთაში** ღამით +15°, დღისით +27°, **მაღალ მთაში** ღამით +10°, დღისით +20°.
აღმოსავლეთ საქართველოში ქარი 10-15 მ/წმ.
ბარში ღამით +18°, დღისით +32°, **მთაში** ღამით +14°, დღისით +26°. **მაღალ მთაში** ღამით +10°, დღისით +20°.
თბილისში ქარი 10-15 მ/წმ.
ღამით +18°, დღისით +32°.

ლარის კურსი

11 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის ფიქსიანი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.4882	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1370	ლარი
ევრო	1	2.4240	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0704	ლარი.

უკანასკნელ საათს

ბუშინ ერაყში აშშ-ის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა დაბუსტეს, რომ თავდასხმების შედეგად დაიღუპა სამი და დაიჭრა ერთი ამერიკელი ჯარისკაცი. მათგან ერთ-ერთის დაღუპვა არ ყოფილა დაკავშირებული მტრის მოქმედებებთან.

ინდოეთის ანდხრა-პრადეშის შტატში ექიმებმა 87 ბავშვის სიცოცხლე შეიწირა. მხოლოდ ბოლო დღე-ღამის განმავლობაში ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაიღუპა კიდევ 5 ბავშვი. მთლიანად ჰოსპიტალიზებულია 550 ავადმყოფი. შტატში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— მარ ომისა და შრომის ვეტერანი, 77 წლის; პენსიას ვიღებ 35 ლარის ოდენობით. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა მეორე სახის პენსია?

ლუბა ნოზაძე.

— მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულ პირებს პენსია განესაზღვრებათ თვეში 35 ლარის ოდენობით და მასზე რაიმე დანამატი იმის გამო, რომ არიან ხანდაზმულნი, კანონით გათვალისწინებული არ არის.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, ტელეფონები: 93-28-54.

ინტერპანორამა

ინგლისში „სექსუალური ხასიათის დანაშაულებათა შესახებ" კანონის მიხედვით 18 წლამდე ასაკის პირებს კოცნისთვის ცისეში ჩასვამენ. სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვლება „სექსუალური ხასიათის" ნებისმიერი აქტი (მათ შორის, მოფერება და კოცნა), თუ ამის ჩამდენი 18 წელი არ შესრულებიათ. ამ კანონის დამრღვევეთ 5 წლამდე პატიმრობა ელით.

ამსტერდამში კომპიუტერები თავიანთ პატრონებს უკვე სიცილით ცნობენ. თუ თქვენ არა გაქვთ შედარი საკუთარი სამუშაო ადგილი და შეადამ სხვადასხვა კომპიუტერს იყენებთ, დაგეხმარებათ ახალი პროგრამა, რომელიც აგენტურად მოგცემთ უახლოესი კომპიუტერის ქსელში შესვლის საშუალებას. ამისთვის საკმარისია, რომ გაიცინოთ.

ევროკომისია ისრაელს „დიდ ევროპაში" ეპატიჟება. ამის წყალობით ისრაელს ისეთივე სტატუსი ექნება, როგორიც ევროკავშირს წევრ სახელმწიფოებს აქვთ.

ПРЕЗИДЕНТИ

კავკასიის მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების კონფერენციის მონაწილეებს

ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო სტუმრებო!

ნება მომეცით, მოგესალმოთ და გამოგიცხადოთ ჩემი მადლობა ყველა იმ დონორი ქვეყნისა და ორგანიზაციის მიმართ, ვინც სელი შეუწყო ამ მნიშვნელოვანი კონფერენციის გამართვას საქართველოში.

ჩვენი ქვეყანა დღეს ახალი დემოკრატიული საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისაკენ მიმართული პოლიტიკური, სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების დინამიკურ პროცესშია.

მრავალრიცხოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მიუხედავად, რაც თან ახლავს გარდამავალ პერიოდს, საფუძველი ჩაეყარა ისეთ გლობალურ პროექტებს, როგორებიცაა „დიდი აბრეშუმის გზა“, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (ტასეკა) და კასპიის ნავთობისა და გაზის საექსპორტო მილსადენების პროექტები.

ქვეყნის ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების სრული გათვალისწინება სხვა დონისძიებებთან ერთად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს მთიანი რეგიონების ბუნებრივი დანდშაფტებისა და უნიკალური ეკოსისტემების შენარჩუნების ხელშეწყობის გზით.

ყოველივე ეს შეიდოდაა ურთიერთდაკავშირებული. მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვით, რაც თავისთავად ბუნების შენარჩუნებისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის საფუძველია.

საქართველოს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ცენტრალურ კავკასიონზე შექმნილი პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია კლიმატის გლობალური ცვლილებით, სერიოზულ საფრთხეს უქმნის კავკასიის მთიანი რეგიონის მდგრად განვითარებას. კლიმატის გლობალურმა დათბობამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მყინვართა მდგომარეობაზე. ბუნების სტიქიური პროცესების მეშოქმედების სიშიშროების რისკის ქვეშ აღმოჩნდა თითქმის ყველა ლანდშაფტურ-კლიმატური ზონა, რამაც ქვეყანას რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა.

2000 წელს საქართველოში იყო ექსტრემალური გვალვა, რის შედეგადაც აღმოსავლეთი საქართველო გამოცხადდა ეკოლოგიური კატასტროფის ზონად, რაც ასევე სერიოზული ეკონომიკური ზარალით გამოიხატა. სასმიშროება შეექმნა მეკარი წყლის ფორმირების აუზებს, ქვეყანაში დამკვიდრდა ეკოლოგიური მიგრანტების ცნება, რამაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად მაღალმთიანი რაიონებიდან მოსახლეობის დენადობა გააძლიერა.

კავკასიის მთები დაცვას მოითხოვს. საქართველოში ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები მიმდინარეობს. 1999 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“, შემუშავებულია მთელი რიგი სექტორული განვითარების ცალკეული სტრატეგიები, კონცეფციები, გეგმები და პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების ელემენტებს, თუმცა ცალკეული ქვეყნების ძალისხმევა პრობლემას ვერ გადაჭრის. მთის ეკოსისტემების გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ რეგიონთა, სახელმწიფოთა და სექტორთაშორისი თანამშრომლობის გზით. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები სწორედ თბილისის კონფერენციის მონაწილეებმა უნდა გადადგან, როშელმაც სერიოზული საფუძველი უნდა ჩაუყაროს კავკასიის მთების კონვენციის შექმნას, როგორც სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტს.

ვუსურვებ კონფერენციის მონაწილეებს ნაყოფიერ მუშაობას.

ედუარდ შევარდნაძე.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ-70

სწორუპოვარი მთამსვლელი

პირველი გვერდიდან

მიმა ცამეტიოდე წლისა მოკიდა ამ გზას. მისი ნათლობის პირველი მწვერვალი ბანგურანი იყო, რომელიც ზემოდან გადმოჰყურებს მეხტიას.

მშობლიური სვანეთის შემდეგომ, ვაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ბანაკებიდან ახორციელებდა იმ დროისათვის შეუძლებლად მიჩნეულ ასვლებს ურთულეს მწვერვალებზე. წარმატებით მონაწილეობდა მეკდეურთა საკავშირო შეჯიბრებებში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე სწორუბო�sაი იყო.

1964 წელს მისეულ ხერგიანმა გაიარა ჩრდილოეთ უშბის აღმოსავლეთის კედელი. ე. წ. „უშბის სარკე“. ეს ნამდვილი გმირობა იყო!

მისეულ ხერგიანი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს მთამსვლელად აღმოსავლეთ ევროპაში. მას ადიარებდნენ მსოფლიოს საუკეთესო ალპინისტები. დიდი ბრიტანეთის დედოფალმა და ადტაცებულმა მაყურებელმა უწოდეს მას „კლდის ვეფხვი“. მან განაცვიფრა ხიფრანგეთი, მთელი ევროპა, სადაც „დუმარცხვანელი“ შეარქვეს.

ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში, მისეულ ხერგიანმა 400-ზე მეტი ურთულესი მწვერვალი დაიპყრო. მოიპოვა თორმეტი ოქრის medal. მათგან ოთხი თამამსვლელობაში.

ჩემთვის ცნობილია, რომ ადალინიშის სამეარო მრავალ უბადლო მთამსვლელს მოითვლის. მაგრამ ჩვენი თანამემამულე მისეულ ხერგიანი, საკვლევით განსაკუთრებული ღირსებებით გამოირჩეოდა როგორც სპორტსმენი და როგორც პატრიოტი, — თავისი ქვეყნის ღირსეული შეილი. იგი ერთადერთი და განუმეორებელია, — საქართველოს სიამაყე და ქვეყნის უმღვეველობის სიმბოლოა.

მწვერვალი იყო მისი სულის ამოთოფილი და მშობლიური სტიქია. სწორედ ამიტომ მეისისსდსორცეს მწვერვალებმა დეგენდად ქცეული სიცოცხლე. მთის ხიხვტატკეში დასრულდა მისი მშვენიერი ცხოვრება. სხეკეკერი სიკვდილი არც შეიძლებოდა რეგნოდა „კლდის ვეფხეს“.

ამავდროულად, საკვლევით სამართლიანია, რომ უდიდეს ქართველ თამამსვლელად სწორედ სვანეთის შეილი იქცა

ეხსოვარი დროიდან სვანი კაცი ბეოქილს უმღვრდა. აწ და მარადის მისი სახით დიდ მისეულ ხერგიანსაც უმღვრის!



ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

2003 წლის 9 ივლისი ქ. თბილისი

ᲓᲐᲛᲐᲠᲐ ᲗᲐᲫᲗᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲔᲚᲐᲘᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑ

მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდასა და პროფესიული მუსიკალური კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის საკრავიერი კოლეჯის თანამშრომლები: ფორტეპიანოს კლასის პედაგოგი, კოლეჯის დირექტორის მოადგილე ლამარა თაძთაქიშვილი და მუსიკის ლიტერატურის პედაგოგი, დოცენტი **ადელაიდა ქუთათელაძე** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

2003 წლის 9 ივლისი ქ. თბილისი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑ

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში, აგროსამრეწველო კომპლექსისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასა და აგრარული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები:

თინანთან დარსაველიძე — მემცენარეობის კათედრის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; **ბაკაი კანდელაკი** — სამეცნიერო-კვლევითი სექტორის უფროსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **გრიგოლ კვაშილავა** — საინჟინრო ნაგებობების, სამშენებლო და გრუნტების მექანიკის კათედრის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მელიორაგორი; **ფილიმონ დაბარაშვილი** — ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი; **ნაუმი გურაბელიძე** — მიწათმოწყობის კათედრის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **გენო ზსაიძე** — მიკრობიოლოგიის, ბიოგექნოლოგიის და მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; **რუსუდან ძიძიშვილი** — გენეტიკისა და სელექციის-მეთესლეობის კათედრის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲦᲘᲡ ᲦᲝᲡᲠᲘᲒᲨᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მოლაპარაკება 21-22 ივლისს ქენევაში გაიმართება. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, თბილისი მოლაპარაკებაზე შეკიცელ მოითხოვს განსორციელდეს კონფლიქტის მოწესრიგების ვარიანტი ბოდენის დოკუმენტის შესაბამისად. ამ დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთი მიჩნეულია სუვერენულ სახელმწიფოდ დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში, ესე იგი თავისებურ სახელმწიფოდ სახელმწიფოში. აფხაზეთი კანონიერად ეწინააღმდეგება ამ გეგმის რეალიზაციას. არადა, სოხუმის მთავრობის წარმომადგენლები აპირებენ მონაწილეობა მიიღონ ქენევის მოლაპარაკებაში, მელიან, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. ევროკავშირ ამ დროს ასევე განიხილავენ, თუ როგორ სრულდება რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების სოჭის მორიგებანი.

ᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲜᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲚᲘᲐᲜ

12 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ, წმინდა მოციქულების პეტრესა და პავლეს სხეულიც. სწორედ ამიგომ, გვინდა ყველამ გაიგოს იმ ახალგაზრდა კაცის სახელი — შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს III განყოფილების უფროსი ინსპექტორი, უფროსი ლეიტენანტი გელა ბტბუნაშვილი.

43-ე სკოლის პედკოლექტივისა და IX კლასის მშობლების სახელით

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲓᲘᲚᲘ, ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲜᲘ, ᲠᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ, ᲗᲔᲛᲣᲠᲘᲜᲘ, ᲘᲡᲝᲛᲠᲘᲚᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: გელა ბტბუნაშვილი ექსკურსანტებთან ერთად.

ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

პოლიციელმა დღე არ ჩაგვამწარა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 43-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და IX კლასების მოსწავლეთა მშობლების სახელით, მოგმართავთ თხოვნით, რათა თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ ჩვენი წერილი.

ა. წ. 8 ივნისს, კვირა დღეს, სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ ბავშვები წაგვეყვანა ანანურში ექსკურსიაზე. ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა გაუთვალისწინებელი რამ. მამინ, როცა ანანურის ციხეს სულ რაღაც 7 კილომეტრი გვაშორებდა, მოულოდნელად გაფუჭდა ავტობუსი და მძღოლის მცდელობის მიუხედავად, აღარ იმართებოდა. დიდრჩით გრასაზე, თაკარა მზის ქვეშ და რამდენ ხანს მოგვიწევდა ცდა, არავინ იცოდა.

თითქოს ღმერთმა გამოგვიგზავნაო, გამოჩნდა საგზაო პოლიციის მანქანა, საიდანაც გადმოვიდა ახალგაზრდა ქართველი ეტეკაცი და მას შემდეგ, რაც გიიგო ჩვენი გასაჭირი, გვერდიდან აღარ მოგვცილებია. ეხმარებოდა მძღოლს, მაგრამ უშედეგოდ. როდესაც დარწმუნდა, რომ ავტობუსს მალე ვერ შეაკეთებდნენ და ჩვენც უსამეველოდ დავიღალეთ მზის გულზე დგომითა და ნერვიულობით, მონახა გამოსავალი — საგზაო პოლიციის მანქანით ჯგუფ-ჯგუფად გადაგვიყვანა მდელოზე. თავად კი, მიბრუნდა მძღოლთან და კიდევ 3 საათის განმავლობაში ეხმარებოდა ავტობუსის შეკეთებაში

ჩვენ დავისვენეთ, ბავშვები გაერთნენ კიდეც და დროც თითქოს უცებ გავიდა. მალე ძრავის ხმა გავიგონეთ და ჩვენს სიხარულს სიხდეარი არ ქქონდა, როდესაც დავინახეთ ავტობუსი, რომელსაც ჩვენი იმდეევანდელი გმირი მოუძღოდა. ის დღე ჩვენთვის მწარე მოგონებად დარჩებოდა, რომ არა საგზაო პოლიციის თანამშრომლის დახმარება, რაც დღეს იმეიათია და, ამდენად, — დასაფასებელია. სწორედ ამიგომ, ჩვენ ყველამ გიიგოს იმ ახალგაზრდა კაცის სახელი — შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს III განყოფილების უფროსი ინსპექტორი, უფროსი ლეიტენანტი **გელა ბტბუნაშვილი.**

43-ე სკოლის პედკოლექტივისა და IX კლასის მშობლების სახელით

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲓᲘᲚᲘ, ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲜᲘ, ᲠᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ, ᲗᲔᲛᲣᲠᲘᲜᲘ, ᲘᲡᲝᲛᲠᲘᲚᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲐ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

დამტკიცდა თანამშრომლობის პროგრამა

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს დადებული კონსტიტუციური შეთანხმების რეალიზაციის მიზნით საქართველოს პრემიერის ბრძანებულების საფუძველზე დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიის შორის დასაქმების სფეროში თანამშრომლობის 2004 –2005 წლების პროგრამა“.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ

საქართველოს პრემიერის განკარგულებით **თამარ გოდერძიშვილი** დაინიშნა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წევრად ხუთი წლის ვადით.

თ. გოდერძიშვილის სამსახურებრივი უფლებამოსილების მეორე ვადის ათვლის თარიღად ჩაითვლება 2003 წლის 10 აგვისტო.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ

წინ — აფხაზეთისკენ! გაჩერება — „იმელის“ წინ

პირველი გვერდიდან

გუშინ დახურული სხდომების ციკლის შემდეგ აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ იგი ხელისუფლებას ოპოზიციაში უდგება, საოცარია! ხელისუფლება რეგიონისა ხელისუფლებას ცენტრალურს კრიჭაში ჩაუდგა.

თამამან ნადარეიშვილი მომიმილეების მოთხოვნებს უკრიტიკოდ იმიარეს, მისი ხელისუფლების ოფიციალურ დოკუმენტად აფორმეს.

ეს იდეური თანადგომა მომიმილობის თანადგომაში გამოიხატა თუ არა, ვერ გეტყვით.

გუშინიდან ყველა — „იმელის“ შენობიდანაც და ენგურის ხიდიდანაც მასზგბაური აქციებით გვაშინებენ.

მოკლედ, ტრადიციულ მიგინგებს, ქუჩის აქციებს და მომიმილობებს, ჩანს, კვლავ ვუბრუნდებით. ვის სჭირდება ეს?! დღეს არავინ უარყოფს იმას (მათ შორის უცხოელი ექსპერტებიც), რომ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა ჭიანურდება, ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა ისეთი საკითხები, როგორიცაა გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვა, რუსეთის იურიდიული პირებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ აფხაზეთში განლაგებული უძრავი ქონების პრივატიზების, შესყიდვისა და იჯარით გადაცემის შეწყვეტა, რუსეთის ცალკეულ სტრუქტურებსა და აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ოპერაციების განხორციელება. ამასთან, აფხაზეთის ტერიტორიაზე კვლავ მოქმედებს გამარგიებული სავიმო რეკიმი და კვლავ მიმდინარეობს აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის გამარგიებული წესით რუსეთის მოქალაქეობის ფორსირებული წესით მინიჭება და სხვა. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ დაგროვილი პრობლემების ფონზე, დღეს ერთადერთი გზა სტაბილური ქვეყნის შენარჩუნებისათვის არის მშვიდობიანი მოლაპარაკებები და კონსულტაციები, ერთობლივი კოლექტიური უსაფრთხოების მექანიმების შემოღება კავკასიურ სახელმწიფოებსა და იმ სახელმწიფოებს მორის, რომლებსაც ამ რეგიონში სტრატეგიული ინტერესები გააჩნიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც არაერთი ექსპერტი მართებულად მიუთითებს, კავკასია დენთის კასრზე აღმოჩნდება და ერთი ნაპერწკალი იქნება საჭირო, რათა უმართავი პროცესები დაიწყოს.

— ჩვენ გვინდა აფხაზეთის პრობლემის გარშემო შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ვნახოთ, — აცხადებენ ყოფილი „იმელის“ შენობის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეები და ავიწყდებათ (თუ ავიწყებინებენ?), რომ მიგინგები და არეულობები გამოსავალი ნამდვილად არ არის.

თანაც, მეგ-ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებისთვის ცხადია, რომ საქართველო არასოდეს არ ყოფილა ისე ახლოს აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტასთან, როგორც დღეს არის.

სიტუაცია დაიძაბა აფხაზეთშიც — გააქტიურდნენ არძინბას მოწინააღმდეგე ძალები. გუშინ სოხუმში არძინბას გადადგომა მოითხოვეს...

და ამ დროს „იმელში“ გაუგებარ თამაშებს იწყებენ — ალოგიკურს და გაუმართლებელს. თუმცა რა, არჩევნების წინ „ყველა ხერხი დასაშვებია“ და ნუ ეძებთ ამ დროს ლოგიკას იქ, სადაც არ არის და არც შეიძლება იყოს.

ᲛᲐᲖᲘᲐ ᲒᲔᲚᲔᲜᲐᲫᲔ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ხუთი წლის შემდეგ მაინც დაფუძნდა

1998 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. საინიციატივო ჯგუფი საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციას აწყვეს. წინაადმდეგობა... ხელის შემლა... ბარიერი... ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არავითარი მხარდაჭერა და პირიქით... მავანთა დამრიგებლური ტონი: „რაო, არა გვაქვს დაფუძნებული მოქალაქეთა კავშირი? — კიდევ რა გინდათ?“

2000 წლის შვიდ დეკემბერს დავფუძნდით, მაინც გავიმარჯვეთ.

დამფუძნებელ კრებას სმკ-ს აჭარის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარის, მთავარი საბჭოს წევრის აზიზ ახელედიანის, ცენტრალური ოფისის პასუხისმგებელი მუშაკის გორა გოგელიას და პრესსამსახურის ხელმძღვანელის ანზორ ზამბახიძის გარდა, საინიციატივო ჯგუფის 47 წევრიც ესწრებოდა.

ავირჩიეთ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ორგანიზაციის საბჭო, სარევიზიო კომისია, სათათბირო და აჭარის სამხარეო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატები.

ეს იყო ხუთი წლის წინათ დაწყებული საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება...

დღეს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შუახევის რაიონში ასეულობით წევრია. ახლახან დავფუძნეთ რაიონში სმკ-ს ახალგაზრდული კავშირიც, რომელშიც 80-მე მეტი წევრია უკვე გაერთიანებული. გვაქვს სმკ-ს შვიდი პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

საზოგადოება მხარს გვიჭერს, რისი დასტურიც წევრთა რაოდენობის შესამჩნევი მრდგა ბოლო პერიოდისათვის.

ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, გამოგვაქვს საკუთარი დასკვნებიც და გვჯერა, რომ ედუარდ შევარდნაძე მაინც მიგვიყვანს გაბართან.

შუახევის რაიონული ორგანიზაცია, თითოეული მისი წევრი, მრავალრიცხოვან თანამოაზრეთა და მხარდამჭერთან ერთად მხარს გიჭერთ, ბაგონო ედუარდ!

თქვენ სჭირდებით საქართველოს... თქვენ განგებამ ბიბლიური მოსეს მისია დაგიკისრათ. თქვენ უნდა იხსნათ ჩვენი სამშობლო დაღუპვისაგან!

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲫᲐᲠᲒᲘᲕᲐᲫᲔ,
საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ვის აინტერესებდა მოუმზადებელი კანონის ამოქმედება?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტის ძალისხმევით 1 ივლისიდან ძალაში შევიდა „კანონი იარაღის შესახებ“. ჯერ ერთი კვირა გავიდა მისი ამოქმედებიდან და უკვე უამრავი შეკითხვა გაჩნდა როგორც სპეციალისტთა და ექსპერტთა მხრიდან, ისე საზოგადოებაშიც.

თუმცა სანამ ამას გავშიფრავდე, სამუელ ჯონსონის სიტყვები უნდა მოვიშველიეთ: „კანონი არის უმაღლესი გამოვლინება ადამიანური სიბრძნისა, რომელიც ადამიანთა გამოცდილებას იყენებს საზოგადოების საკეთილდღეოდ“.

მე ვერ ეეტყვიი, რომელ გამოცდილებას დავეყრდნო კანონშემოქმედთა ის გუნდი, ვისი უშუალო მონაწილეობითაც მომზადდა და „ზმის სინათლე“ ისხილა ამ კანონმა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ჯერ-ჯერობით გარკვეული კუთხით საზოგადოების საკეთილდღეოდ ნამდვილად არ შუშაობს. მეტიც, უფრო ძაბავს სიტუაციას. მარტივად რომ ვთქვათ, ამ კანონის მიხედვით დასაჯდა ცივი იარაღის, ანუ დანის გარება, მაგრამ არავის უცდია მისი კლასიფიკაცია. მოკლედ, სიტუაცია ისეთია, სასლის სახურავიდან მშენებლობის დაწყების რომ შეესაბამება. ასეთი მიდგომის შედეგი კი, ცხადია, არასახარბიელო იქნება.

ჩვენ ამჯერად ამ კანონის ცხოვრებაში მთავარი გამგარეებელი უწყების — შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი სხვადასხვა რგოლის წარმომადგენელთა მოსაზრებების შეკითხველთა სამსჯავროზე გამოგანით წარმოვიჩენთ იმ აბსურდულ სიტუაციასაც, რომელიც მის ამოქმედებას მოჰყვა.

შევეცდებით, მომავალში სხვა კომპეტენტური უწყებებიც შევაწუხოთ და საზოგადოებას სრული ინფორმაცია მივაწოდოთ.

ᲠᲝᲜᲐᲚᲓ ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲔ — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი: მართალია, კანონი „იარაღის შესახებ“ ძალაში 1 ივლისიდან შევიდა, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, ჯერ არ მოქმედებს. უნდა მოხდეს შესაბამისი ცვლილებები საპროცესო კანონმდებლობაში. უნდა გაკეთდეს სპეციალური ჩამონათვალი, რომლითაც განისაზღვრება დასჯადი და არადასჯადი სახეობანი. თუმცა ეს მაინც კანონმდებელთა განსაზღვრა. მე უფრო იმ ფონზე მოგახსენებთ, რაც ამ კანონის მიღებამდე იყო და არის ახლაც ჩვენს ქვეყანაში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მძიმე კატეგორიის დანაშაულია 10-12 პროცენტი ჩადენილია სწორედ ცივი იარაღის, დანის გამოყენებით. მერწმუნეთ, ეს არაა უმნიშვნელო სტატისტიკა. ღღეს ძალიან ბევრია დანის შეძენა, ეს არც ფსიქიურად დაავადებული ადამიანებისთვის წარმოადგენს სირთულეს. სახელმწიფოსთვის ფართო მასშტაბით ეცხლსასროლი იარაღით და ცივი იარაღით, ანუ დანით შეიარაღებული ადამიანი სხვადასხვაა, მაგრამ მოღით, ამას დაშარალეულის თვალითაც შევხედოთ. მისთვის ხომ სულ ერთია, რითი მოუკლავენ ახლობელ ადამიანს. ამიტომ ის კატეგორიულად ითხოვს ღონისძიებათა გამეკცრებას.

კანონში არაფერია თქმული და ურიგო არ იქნებოდა გაეთვალისწინებინათ იმ მოქალაქეთა მდგომარეობა, ვინც ამ პროფილის ბიზნესს ეწევა. ალბათ, რაღაც ვადები უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, ხომ შეიძლება ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, ან ფირმა თავის უცხოელ პარტნიორთან ამგვარი კანონის პირდაპირ შემოღებით საკმაოდ მძიმე, კბალურ სიტუაციაში აღმოჩნდეს.

მოკლედ, ამ კანონს სრულ კონდიციამდე მისაყვანად გარკვეული სამუშაოები კიდევ სჭირდება. ჩვენ მხოლოდ ამის შემდეგ ჩავრთავთ ჩვენს სამოქმედო ბერკეტებს.

ᲚᲘᲐ ᲮᲔᲕᲔᲠᲓᲘᲐᲜᲘ — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი: ყველა კანონს აქვს გარდამავალი დებულებები, რომელიც რამდენიმე კანონქვემდებარე აქტის მიღებას გულისხმობს. საუბარია იმაზე, რაც უნდა გაკეთდეს. პირველ რიგში, სახელმწიფო კადასტრი უნდა მომზადდეს. განისაზღვროს იარაღის ჩამორთმევის, იარაღის სერტიფიკატირების, უცხო სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლების საქართველოში შემოსვლის დროს იარაღის გამოყენების, სამოქალაქო და სამსახურებრივი სამგაგო იარაღის ჯილდოდ გადაცემის, საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული იარაღის ტარების, გადაადგილებისა და შენახვის წესები და სხვა. ამ კანონში სიტყვა „დანა“ საერთოდ არაა ნახსენები. ამ ეტაპზე კადასტრმა უნდა განსაზღვროს, რას ნიშნავს ცივი იარაღი, რომელსაც ეს კანონი კრძალავს. კადასტრს ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით გააკეთებს სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტი. რასაც სტანდარტების კომიტეტი დაადგენს, ცივი იარაღის (დანის) ის სახეობა აიკრძალება. ამგვარად სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობთ. იუსტიციის სამინისტროს გავუგზავნეთ ჩვენი მოსაზრებები, ვფიქრობ, რომ სექტემბრისთვის ყველაფერი გაირკვევა. მანამდე კი, გვინდა ეს თუ არა, კანონი ვერ იმუშავებს. თუმცა გამორიცხული არაა პარლამენტმა ინიციატივა გამოიჩინოს და უფრო ადრე მოაწესრიგოს ეს პრობლემები. ძირითადად ეს მინდოდა მეთქვა. ჩემი აზრით, ნამდვილად არ ღირდა ეს აჟიოტაჟი იმად, რაც ამ კანონის ნაჩქარევი მიღებით შეიქმნა.

ᲗᲘᲛᲝᲠᲔᲗᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲝᲕᲐᲫᲔ — ბარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი: მე, როგორც პრაქტიკოსი, არ მივესალმები კანონის გამკაცრებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დღევანდელი რეალობაი არის გამოწვეული, ეს იძულებითი ნაბიჯია. თავად განსაჯეთ, მარტო ბარდაბნის რაიონში წელს მომხდარი 5 მკვლელობიდან 3 ჩადენილია ცივი იარაღის, დანის გამოყენებით. დარწმუნებული ვარ, არც სხვა რაიონებში იქნება უკეთესად საქმე. როცა ხალხს ეცოდინება, რომ აკრძალულია დანის გარება, ცხადია, გარკვეული კატეგორიის, თორემ ხალის სათელეკ, ე. წ. ჯაყვა-დანებზე არაა საუბარი, მაშინ ისინიც მოერიდებიან კანონის დარღვევას. რიცა დანის გარება ნებადართულია, მას მოსახლეობის ერთი ნაწილი სიტუაციის გართულებისთანავე საქმეში რთავს და მმიმე შედეგიც არ აყოვნებს. ადრე, საბჭოთა კავშირის დროს დანის გარება ისჯებოდა. უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ კარგად მუშაობდა ის მუხლი, ახლაც, ალბათ, ასე იქნება.

ᲗᲘᲛᲝᲠᲔᲗᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲝᲕᲐᲫᲔ — ბარდაბნის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი: მე, როგორც პრაქტიკოსი, არ მივ

პარტნიორული პროგრამების პერსპექტივები

„შერატონ-მეტზი-პალასში“ მუშაობა დაამთავრა რეგიონალურმა კონფერენციამ, რომელიც ამერიკის იუსაიდის შარდაჭერასთან არსებული ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო კავშირმა გაბართა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის პარტნიორული პროგრამების, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვათა წარმომადგენლები. დღის წესრიგში შეგანილი იყო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, დაფინანსების მართვის, ინფექციური დაავადებებისადმი კონტროლისა და სამედიცინო კადრების გადამზადების საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება კონფერენციის მონაწილეებმა დაუთმეს პარტნიორული პროგრამების განხილვას, მათ მიღწევებსა და პერსპექტივებს.

დაიწყო „კანგაფი-2003“-ის მეორე ეტაპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროო წლეულს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს ფართომასშტაბიან ღონისძიებას „კანგაფი-2003“.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის ეროვნულ ბიუროში განუცხადეს, უკვე დამთავრდა ამ ოპერაციის პირველი ეტაპი, რომლის დროსაც პოლიციის მუშაკებმა თითქმის ყველა რეგიონში შეხოვრები კერძო პირებისგან მათ საკარმიდამო ნაკვეთებში ხელოვნურად დათესილი დიდძალი ნარკოგიკული შეცნარე „კანგაფი“ ამოიღეს.

„სიმენსის“ კომპანიის ხელშეწყობით

ევროპა-კავკასია-აზიის საგრანსპორტო დერეფნის საქართველოს მონაკვეთზე სპეციალისტებმა გადაეცა სარკინიგზო ოტგიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალი. სამუშაოები განხორციელდა კომპანია „სიმენსის“ ფინანსური დახმარებით. როგორც საქართველოს გრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში განაცხადეს, კაბელის დანიშნულება ის არის, რომ აამაღლოს ქვეყნის რკინიგზაზე კავშირის მთელი სისტემის სიმეფლობა და მომავალში გავიდეს საერთო ევროპულ მაგისტრალზე. პროექტის შესაბამისად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემა მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონზე გაიკვლის.

ამოქმედდა კანონი ტრეფიკინგის წინააღმდეგ

10 ივლისიდან გრეფიკინგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ისჯება. ძალაში შევიდა ცვლილება შესაბამის კანონმდებლობაში, რომელიც პარლამენტმა ამა წლის 6 ივლისს მიიღო.

გრეფიკინგი მკვლელობას, ადამიანის გაგაცებასა და სხვა მძიმე დანაშაულებებს უთანაბრდება.

ამ კანონის მიხედვით მოქალქემ თვითონ უნდა იმრუნოს, რათა არ აღმოჩნდეს გრეფიკინგის საფრთხის წინაშე. პიროვნება, რომელიც კანონს დარღვევით გაგდის საშიგარგრეთ, რჩება კანონსმიღმა.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

კონტაქტები

— ბატონო ალექსანდრეს, როგორ გესახებათ ორმხრივი ურთიერთობის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები?

— სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა შემდეგი მოგახსენოთ: რუსეთსა და საქართველოს აკავშირებთ უნიკალური ურთიერთობა, რომელიც მოიცავს მრავალმხრივ ისტორიულ კავშირურთიერთობას ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის. მე ესეც არის დაბრუნდი სანკტ-პეტერბურგიდან, სადაც საქართველოს დელეგაციაა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით მონაწილეობდა ჩრდილოეთის დედაქალაქის სამასი წლისთავის დღესასწაულში. იქ ბევრი რამ ითქვა იმაზე, რომ პეტერბურგი „სარკმელია ევროპაში“ არა მარტო რუსეთისათვის, არამედ საქართველოსთვისაც, რადგან ჩვენი ყველაზე ცნობილი თანამემამულეების მრავალი თაობა იღებდა განათლებას სანკტ-პეტერბურგში, შემდეგ ჩადოდნენ საქართველოში, ხდებოდნენ თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერები, სამხედროები. რაღა თქმა უნდა, ძნელი და დაჯარბებით მეაფასო რუსეთის კულტურის როლი და მნიშვნელობა საქართველოს კულტურის განვითარებაში. ქართველებმა, თავის მხრივ, ასევე ბევრ დარგში გაამდიდრეს რუსული კულტურა. ასე რომ, ეს იყო მემსვედრი მოძრაობა, ურთიერთგამდიდრების პროცესი. მშვენიერი და დიდებული ქალაქის იუბილეს საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ. საქართველოს პრეზიდენტმა წლის დამდეგს შექმნა სახელმწიფო კომისია სანკტ-პეტერბურგის სამასი წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მოსამზადებლად. ამ კომისიამ გამოსცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისადმი მიძღვნილი რამდენიმე წიგნი. ერთ-ერთი მათგანის სახელწოდებაა „ქართველები რუსული დროშის ქვეშ“. წიგნში ჩამოთვლილი ასობით ცნობილი მოღვაწის სახელი, რომლებიც ემსახურებოდნენ რუსეთ-საქართველოს მეგობრობის საქმეს, ცხადყოფს, რამდენად ძლიერია ჩვენი კულტურების ურთიერთგამდიდრება, ელიგათა ურთიერთმოქმედება. შემობლებთან, კერძოდ, რუსეთთან ურთიერთობა ჩვენთვის პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენი საგარეო პოლიტიკისათვის შეიძლება ითქვას, დამახასიათებელია მისწრაფება, განვავითაროთ და გავამრავლოთ მეგობრობა. ჩვენ გვსურს ნორმალური ურთიერთობა ყველნდეს ყველა მეზობელთან, დასავლეთის მოწინავე ქვეყნებთან, და თავად ქართული ხასიათი, მისი გულღიაობა გვიკარნახებს ასეთ პოლიტიკას. ამ თვალსაზრისით ჩვენ მივესალმებით რუსეთის დაახლოებას ევროპის ქვეყნებთან, რუსეთ-ამერიკის თვისებრივად ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, უმიშროების ევროატლანტიკურ სტრუქტურაში რუსეთის ინტეგრაციას. ყოველივე ეს კარგ ფონს ქმნის საამისოდ, რომ საქართველომაც ისარგებლოს მოწინავე მსოფლიო გაერთიანების სიკეთით. სამწუხაროდ, ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის დღევანდელი დონე არ შეესაბამება მეგობრობის გრადიციებს. ჩვენ დაუმაყოფილებლობის გრძნობა გვაქვს ამ ამბავმ გვინდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რაც მეიძლება სწრაფად მოექცეს ბუნებრივ კალაპოტში და გახდეს იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა აიგოს დიდი სახელმწიფოსა და პატარა მეზობელი ქვეყნის კავშირურთიერთობა.

— რა ძირითადი პრობლემებია გადასაჭრელი, თქვენი აზრით, რუსეთ-საქართველოს, საქართველო-რუსეთის კავშირურთიერთობის თვისებრივი გაუმჯობესების გზაზე?

— ჩვენი მხრივ, მხოლოდ ერთ პრობლემას ვხედავთ, რომელიც ხელს უშლის ჩვენი ურთიერთობის სანიმუშოდ გადაქცევას, — ეს არის აფხაზეთის საკითხი. ისეთი მთაბეჭდილება მრჩება, რომ მოსკოვში ჯერ კიდევ ყველას არ ესმის, რამდენად მტკივნეულია ჩვენთვის აფხაზეთის კონფლიქტის გადაუჭრელობა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე ხომ ძალზე ძნელია ლაპარაკი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაზე, მისი განვითარების პერსპექტივებზე. მე ახლა არ მოვყვები იმის დეტალურად გარჩევას, რა მოხდა 1990-იანი წლების დამდეგს კონფლიქტის დროს აფხაზეთში, ვინ ვის ეხმარებოდა და ეხმარება დღემდე, რაგომ მოიკრიბეს სეპარატისტებმა აფხაზეთში ძალა, რის შედეგადაც სეპარატიზმი დათარეშობს მთელ კავკასიაში, მათ შორის რუსეთის სამხრეთ ნაწილშიც. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენი შეხედულებით აფხაზეთის კონფლიქტი გადაუჭრელობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც ქართველებსა და აფხაზებს, ისე რუსებს. ახლა საერთაშორისო გაერთიანებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, უწინარესად, გაეროს დახმარებით უნდა ვეძებოთ ამ პრობლემის გადაჭრის ურთიერთმისაღები გზები. არის რამდენიმე ისეთი დამაბიმდებელი მომენტი, როგორიცაა, მაგალითად, „საქართველოს საკითხი გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის“ (ამ ჯგუფში შედის ხუთი ქვეყანა — გერმანია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ამერიკის შეერთებული მტატები, საფრანგეთი) მაღალი თანამდებობის წარმომადგენელთა ეენევის ამასწინანდელი შეხვედრა, რომლებიც მუშაობენ აფხაზეთის საკითხზე. ეენევის შეხვედრაზე შეიმუშავეს რეკომენდაციები აფხაზეთის კონფლიქტის გადასაწყვეტად, მარგი სოჭში გაიმართა ჩვენი ქვეყნების პრეზიდენტთა ცნობილი შეხვედრა, სადაც ყურადღების ცენტრში აფხაზეთის საკითხი იდგა. ამჟამად იწყება მუშაობა რამდენიმე მიმართულებით. კერძოდ, სათაობაში რუსეთის წილი გაიზარდა, ხოლო სავაჭრო ბრუნვამ რუსეთთან შიაღწია 162,8 მილიონ ამერიკულ დოლარს. საქართველოდან ექსპორტმა შეადგინა 52,5 მილიონი დოლარი. უმნიშვნელოვანესი საექსპორტო საქონელია ყურძნის ღვინოები, მინერალური წყლები, სპირტიანი ნაყენები, ლიქიორები, ეთილის სპირტი, ფერშენადნობები, ჩაი. რუსეთიდან საქართველოში შემოდის ბუნებრივი გაზი და ნახშირწყალბადები, ელექტროენერგია, რკინიგზისა და გრამვაის ვაგონები, სამკურნალო სამუალებები. ეჭვგარეშეა, ორივე ქვეყანას აქვს უზარმაზარი გამოუყენებელი რეზერვები. არც ჩვენ და არც თქვენ არ გვაკმაყოფილებს დღევანდელი საავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთკავშირის დონე. რაც შეეხება პერსპექტივებს, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი თანამშრომლობის ყველაზე საინტერესო მიმართულებად მიგვაჩნია

საქართველო–რუსეთი: კულტურების ურთიერთგამდიდრება, ელიტათა ურთიერთმოქმედება

რუსეთის ფედერაციამ საქართველოს საბანაგებიო და სრულუფლებიანი ელჩის ზურაბ აბაშიძის საუბარი ჟურნალ „დიპლომატის“ მთავარ რედაქტორ იური ტავროვსკისთან

2002 წელს საქართველოს საავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში რუსეთის წილი გაიზარდა, სოლო საავაჭრო ბრუნვამ რუსეთთან მიაღწია 162,8 მილიონ ამერიკულ დოლარს. საქართველოდან ექსპორტმა შეადგინა 52,5 მილიონი დოლარი. უმნიშვნელოვანესი საექსპორტო საქონელია ყურძნის ღვინოები, მინერალური წყლები, სპირტიანი ნაყენები, ჩაი. რუსეთიდან საქართველოში შემოდის ბუნებრივი გაზი და ნახშირწყალბადები, ელექტროენერგია, ტრანსპორტი.

ეს ინფორმაციები, უწინარესად, გაეროს დახმარებით უნდა ვეძებოთ ამ პრობლემის გადაჭრის ურთიერთმისაღები გზები. არის რამდენიმე ისეთი დამაბიმდებელი მომენტი, როგორიცაა, მაგალითად, „საქართველოს საკითხი გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის“ (ამ ჯგუფში შედის ხუთი ქვეყანა — გერმანია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ამერიკის შეერთებული მტატები, საფრანგეთი) მაღალი თანამდებობის წარმომადგენელთა ეენევის ამასწინანდელი შეხვედრა, რომლებიც მუშაობენ აფხაზეთის საკითხზე. ეენევის შეხვედრაზე შეიმუშავეს რეკომენდაციები აფხაზეთის კონფლიქტის გადასაწყვეტად, მარგი სოჭში გაიმართა ჩვენი ქვეყნების პრეზიდენტთა ცნობილი შეხვედრა, სადაც ყურადღების ცენტრში აფხაზეთის საკითხი იდგა. ამჟამად იწყება მუშაობა რამდენიმე მიმართულებით. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიის აღდგენა. ამ დარგში არსებობს მთელი რიგი პროექტები, რომლებითაც ორივე ქვეყანაა დაინტერესებული.

— ბატონ ალექსანდრეს, როგორ შეფასებთ ამ ინფორმაციებს ელჩის თვალსაზრისით ქართული თემის როლს რუსეთში? ეს თქვენ დამაგებით პრობლემებს გიქმნით, თუ გარკვეულ შესაძლებლობებს გაძლევთ?

— ბატონ ალექსანდრეს, ეს ინფორმაციები ნამდვილად ასახავენ ამ პრობლემის ფენომენალურ ბუნებას. ეს ინფორმაციები ეხებიან ეროვნულ ეკონომიკურ ინფორმაციებს, ეხებიან ეროვნულ ეკონომიკურ ინფორმაციებს, ეხებიან ეროვნულ ეკონომიკურ ინფორმაციებს. ეს ინფორმაციები

საქართველოს რესპუბლიკა
№ 181, პარასკევი, 11 ივლისი, 2003 წელი.

თეორია

სამხედრო სამართლებრივი სწავლება — საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ნაწილი

საქართველოს მრავალათასწლიან ისტორიაში იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის პერიოდები, როდესაც სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა და სამხედრო, ეკონომიკურ თუ კულტურულ ფასეულობათა მექმნის, სიძლიერისა და ინტენსივობის ფორმირება, ურთულესი სამინაო და საგარეო პირობების მიუხედავად, პროცესების მეუქცევადობის გარანტების ძიებით და სწრაფი ტემპით წარმატებულად მიმდინარეობდა.

ყოველივე ეს, კლასიკური გგებით, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ცნება ეროვნული უსაფრთხოებისა, ნებისმიერ ისტორიულ ეტაპზე მოითხოვდა საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების გარკვეული მოდელის შექმნის და მის რეალიზაციის.

